

1951

საქართველო
განცხადება

პარიზი - პარიზელებს !
შორს ჩვენგან ეიძენცაყერი!



22
5/11
57
1

მთხვეთა უძრავი - უფასა: — არც ურთი ჭვეულა პატივით არ დამსვდა, უფლებან პროტესტი და შეჩერება.
აქ კი, პარიზში, ჩემს წინააღმდეგ ქამპიც ლალადებენ! რახა შეადგინები..

6

Q

Ճ

6

Ծ

ამერიკული სანებ-კადახი


მაგიდას უზის ბანკირი,
ხედთა აქვს საწერ-კადამი,
კუპრით სავსეა სამედნე,
ზავლია, როგორც ხადამი!

განა კაცია ტრუმენი?—
— უბრადო კადმისტარია,—
„ღარია“, იტყვის ბანკირი,
ტრუმენი ღასწერს „ღარია“...

ძევს აჩესონიც მახდობლად,
ჰავრს იკვავს წყევლა-კრუდვაში,—
მერნის საშრობად ენა აქვს,
კადმის საწმენდად უდვაში!

სამთავეს ერთი სურვილი
სურივით ამოხომია;
ომია მათი იმედი,
მათი სიმღიღრეც ომია!

მოგოთუ მიგრიფული



მარ. გ. ლომაშვილი


პასტერის გრადერია

საფრანგეთის გემით „პასტერით“ მაშველი ძალები და საჭურვლი
მიიღეს საფრანგეთის კავშირის ჯარებმა ინდო-ჩინეთში.

გაზეთებიდან

პასტერის ძეგლი (სასოჭარევეთით):

ზოელი სიცოცხლე მოვანდომე სიკვდილთან ბრძოლას,
სიკვდილის შემდეგ სურთ სიცოცხლეს ვებრძოლო! არა..



საქასპოტებული ცენტრი

რედაქციამ ეს-ეს არის მიიღო თბილისელი მოქალაქის ადელაიდა ედუარდის ასულ ლონგვიცაიას ბარათი. იგი გვწერს: „პატივცემულო ნიანგო, გამოცდილი კაცი ხარ და გეცოდინება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალისთვის დაბადების დღეს (დაბადების წელზე არ მოგახსენებთ იმიტომ, რომ ქალებისთვის ზოგჯერ უხერხულიც კია ასეთ რამეზე ლაპარაკი). ამ დღეს გვეწვევიან ხოლმე ნათესავ-მეგობრები საჩუქრებით, იმართება პურ-მარილი და მთელ სალამოს ყურადღება შენსკენაა (ქალისთვის ხომ ყურადღება ოქროზე ძვირად ღირს!). ქალთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც თებერვლის 29-ს დაიბალნენ და მათ ეს ბერნიერება წილად ხვდებათ ოთხ წელიწადში ერთხელ. მატრამ მე რა დავუშავე თბილის მე-6 სამილიციო განყოფილებას, რომელიც აღმოაჩინა და პასპორტში ჩამიხრა, რომ მე, თურმე, დაბადებული ვყოფილვარ იქნის 31-ს. ხულარ შემურდებათ სხვისი ბედი თებერვლის ოცდაცხრას დაბადებულებს, ოცდათერთმეტი ივნისი კალებდაოში საერთოდ არ ძობოვება და მე თუ დაბადების დღე საერთოდ დაკარგულად მეტვება, თა მოძღება, რომ მათ ოთხ წელიწადში ერთხელ გაიხარონ!“.

ჩვებ ბილიციის ზოგიერთი საბასპორტო განყოფილების თუშაკები არა ვართ და კარგად გვესძის, თუ რა მხიშვნელობა აქვს ბოსახლეობის სწორ ალიცხვას, განსაკუთრებით ახლა, არჩევნების დროს. ამიტომ შორს არ წავალთ, რომ შემთხვევითი კურიოშების საეციალური ძებნა არ გასოგვივიდეს და ადგილობრივი რესურსებით დავჭაუფილდებით. გადავხედოთ ჩვენი რედაქციის თანამშრომლების პასპორტებს:

ჩვენი უურნალის ერთ-ერთ თანამშრომელს, მხატვარ გივი ლომიძეს გვინდა ვეწვიოთ რედაქციის თანამშრომლები და დაბადების დღე მივულოცოთ. ვარკვევთ მისი დაბადების დღეს და აღმოჩნდა, რომ იგი საბჯერ დაბადებულა! ეს „უბრალო“ გარემოება შეძლევი მიზეზების გამო მომიდარა: როგორც თვითონ აცხადებს, ნამდვილად დაბადებულა ერთხელ, 1915 წლის თებერვლის 18-ს. ჩვილი მიუ-

ყვანიათ ქუთაისის მთავარანგელოსის მეულესიაში და წვერგაბურძენილ მღვდელს დაბადების დღეთ ჩაუწერია მონათვლის დღე — 1915 წლის ივნისის 3. ორჯერ დაბადების ვერ ითმენდა ამხ. ლომიძე და მილიციის მე-6 ვანყოფილებამ, თითქოს ჯიბრზე, დაბადების მესამე დღე აღმოუჩინა: პასპორტში დაბადების დღეთ ჩაუწერა 1915 წლის დეკემბრის 31.

მოლით და გაიგეთ, რომელ დღეს უნდა ვესტუმროთ და მივულოცოთ დაბადების დღე ამხ. ლომიძეს!

ეს ერთი.

ჩვენი რედაქციის ერთ-ერთი მუშაკის მეუღლე, მოქ. ეთერ ნიკოლოზის ასული ალი დაბადებულია 1920 წ. საბასპორტო განყოფილებამ აღმარიცის, თუ რას ნიშნავს წლების მომატება ქალისთვის და იმდეხად გაახარეს ეთერ ნიკოლოზის ასული, რომ მთელი საუკუნე წაუმატეს. მას დაბადების თარიღად 1820 წ. უწერია.

ეს მეორე.

გველაზე დიდი საიდუმლოება, რომელიც მილიციის საბასპორტო განყოფილების საშუალებით აღმოვაჩინეთ, გახლავთ შემდეგი:

ჩვენს რედაქციაში მესამე ათეული წელია, რაც ძხარეობის თანაძღებობაზე შემაობს კარიკატურისტი ღონი. მას ფსევდონის გარდა ნამდვილი გვარი და სახელიც გააჩნია: დავითი ჰევია, ვლადისტონის-ძეა და გვარად ნაცვლი-შვილს ატარებს. აღნიშნული ამხანაგი ათეული წლების განმავლობაში ჩვენთას ძუშაობს, ჩვეს გვერდით ზის და დღემდე არ ვიცოდით, რომ ის ქალი იყო. შარვალსა და პიჯაკს, თურმე, თვალის ასახვევად ატარებდა და ისეთი ხალხის ძოტყუილებასაც კი ააერხებდა, როგორც ხიახელებია. მის პასპორტში აღმოვაჩინეთ, რომ ის ნამდვილად არის: „დავით ვლადიმერის ასული ნაცვლიშვილი“... გაგვიკვირდებოდა, მაგრამ გასაკვირველიც აღარაფერი დარჩა, როცა შევიტყვეთ, რომ მილიციის ზოგიერთ საბასპორტო განყოფილებაში კალმის სპორტსმენები „მუშაობენ“...

2. ივანიშვილი



სასწრაფო დახმარება



დი ცხოვრობს პლეხანოვის პროსპექტზე № 29-ში. 13 ნოემბერს დამით უკრად ცუდად გაძლა, მთელ ორგანიზმი მწვავე შემოტევა იგრძნო, ერთი სიტყვით, საჭირო შეიქნა სასწრაფო საექიმო დახმარების გაწევა. ნაშეაღამევის 3 საათია. ავადმყოფი სწუხს, ბორგავს. რომელ ექიმს შეიძლება ასეთ დროს მიმართო?

— სასწრაფო დახმარება! — უკრად მოაგონდა ავადმყოფის პატრონს, მაგრამ ესეც უხერხულობად ეჩენა. ამჯობინა ისევ დილამდე დაუცადა იმ იმედით, რომ შესაძლოა ავადმყოფს ტკივილები გაუვლიდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ავადმყოფი კიდევ უფრო უარესად შეიქნა და აუცილებელი გახდა სასწრაფო დახმარების შეწუხება.

დილის 8 საათზე გამოიძახა ავადმყოფის პატრონმა სასწრაფო დახმარება.

— გისმენთ! — მოისმის ქალის ხმა.

— ამხანავო, პლეხანოვის პროსპექტზე № 29-ში მძიმე ავადმყოფია, ცოცხალს მოუსწარით.

— რა სტკივა?

ამ კითხვამ დააბნია ავადმყოფის პატრონი. მართლაც და რა სტკივა?

— რა ვიცი რა სტკივა, კვდება, მოეშველეთ!

— მიმართეთ ამბულატორიის ექიმს.

— რას ამბობთ, ამბულატორიის ექიმი საღამომდე ვერ მოვა!

— ნუ ლელავთ...

— რატომ არ უნდა ვლელავდე. ავადმყოფი კვდება.

— რა გარ. ნტია, რომ კვდება?.. იქნებ მას უბრალო ტრომბოფლებიტი სკირს, ან კომატოზური მოვლენა აქვს, რომელმაც ჩენს მოსვლამდე შეიძლება კიდევ გაუაროს... მაშინ ვინ აგებს პასუხს?

— ამხანავო, ჩქარა გამოგზავნეთ სასწრაფო დახმარება, დრო არ ითმენს.

— ასეთ სიტყვებს მიჩვეული ვართ... დაგვირევავნ: არიქა, ვილუპებით, ავადმყოფი კვდება, ცოცხალს მოუსწარით... ჩენებც ძოვაჯდებით მანქანას, მივგრიალდებით ავადმყოფთან და რას ვხედავთ? ავადმყოფი წამოწოლილა მხარეთით და მიირთხევს ფეხაძუშს.

— ამხანავო, რის ფეხაძუში, რის თათარა, ჩქარა მოეშველეთ ავადმყოფს!

— ნუ ლელავთ, თქვით რა სტკივა თქვენს ავადმყოფს!

— ბრძა საწლავის ტერიტორიაზე გრძელის შელევებს.

— ჰლდა, ეგრე დაგეწყოთ, თქვე დალოცვილო... ის რა, ჩემო კარგო, მე ვფიქრობ, სასწრაფო დახმარება საჭირო არის.

— რატომ?

— ბრძა მაწლავმა მოტყუება იცის... შეიძლება უბრალო თიაქარია, ან წელეავი...

— ნუ გადამრიეთ, ჩქარა მოეშველეთ, თორემ მოკვდება და პასუხს გაგებინებთ.

— რა ჯიუტი ყოფილხართ... კარგი, კარგი, წამოვალთ.

— ახლავე გამოდით.

— აი, ამ წუთში მოვფრინავთ.

ორივე მხარემ ტელეფონის მილები დაჰკიდა.

— ნუ გეშინია, — ეუბნება პატრონი ავადმყოფს, — სასწრაფო დახმარება ამ წუთში მოგრიალდება.

გავიდა „ეს წუთიც“, „ის წუთიც“, ნახევარი საათი, ერთი საათი... სასწრაფო დახმარება არ გამოჩნდა.

იძულებული გახდნენ ავადმყოფი „ხალტურმანქანით“ მიეყვანათ ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

აქ მას სასწრაფოდ შემოეხვინენ გარს თეთრხალათიანი ადამიანები.

10 წუთში ავადმყოფი უკვე საოპერაციო მაგრდაზე იწვა და პროფესორი სოფიო ბუაჩიძე თავს დასტრიალებდა

ნახევარი საათის შემდეგ ავადმყოფს უკვე ულოცავდნენ მშეიღობით გადარჩენას. ავადმყოფის პატრონი დამშვიდებული წამოვიდა შინ. წამოწვა მთელი დამის უძინარი და წასთვლიმა. ასე სთვლემდა ერთი საათი, ორი საათი, სამი საათი... სრულ 12 საათზე რალაც მანქანა გრიალით გაჩერდა პლეხანოვეს პროსპექტზე № 29 შენობასთან. ეს იყო სასწრაფო დახმარება. რამდენიმე თეთრხალათიანი ადამიანი ქლოშინით ამოვიდა მეოთხე სართულზე.

— სად არის ავადმყოფი?

— რომელი ავადმყოფი!.. ას, ავადმყოფი საავადმყოფოშია, უკვე ოპერაცია გაუკეთეს.

— რაო? მოგვატყიცეთ ხომ! ახლავე ავადმყოფი აქ გააჩინეთ!

— ნუ ლელავთ!

— ავადმყოფი გააჩინეთ, თორემ თქვენ თვითონ წაგიყვანთ.

— დაფიქრდით, ამხანავო!

— დაფიქრების დრო აღარ არის... რას გავს ეს, მოველით სრული იმედით, რომ აქ სულთმობრძანი ავადმყოფი დაგვხვდებოდა, ნამდვილად კი ავადმყოფი უკვე გაგიპარებიათ.

ერთი სიტყვით, სასწრაფო დახმარება გინებითა და მუქარით წავიდა.

ეს გახლავთ ნამდვილი ამბავი...

აეტორი. ბოდიშ იხდის სასწრაფო დახმარების მორიგე ქალის წინაშე მოვლენების ოდნავ ჟეფერადების გამო. მაგალითად, თათარა, ტრომბოფლებიტი, კომატოზური მოვლენა — ეს სიტყვები მას არ უხმარია. ეს ჩენი ლექსიკონიდან არის.

დანარჩენი კი ყველაფერი მართალია და ყოფილი ოპერირებული ავადმყოფი დაგვიანებულ მოკითხვას უთვლის სასწრაფო დახმარებას.

შეინ-ზანინი



ურალის პრინციპი

თბილისის ეკო-ეკო საავაგყოფი

ნარ. დონისა

ორი დეკემბრის დილას პატარა ნუნუ თავი ცუდად იგრძნო. სიცხე გაუსინებს. თერმომეტრი მა თცდაცხომეტი და რვა ხაზი უჩენა.

ნუნუს დედამ თრჯონიკიძის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმს გამოუძახა.

რამდენიმე ხნის შემდევ ავადმყოფთან ექიმი ელიზბარ შურლაია გამოცხადდა, გასინჯა და რისით წარმოორგავა:

— ბავშვს ქუნთრუშია აქვს, სავადმყოფოში უნდა წაიკვანოთ!

— არა აქვს ქუნთრუშია, ექიმი, ყელის ტკივილის ასეთი შემთხვევა პირველი არ არის! — შეეიტყვა ავადმყოფშის დედა ქეთევნი.

მაგრამ ექიმ შურლაია თავზე პრინციპმა გაიღვია და:

— სავადმყოფში, სავადმყოფში. მე ვიცი რასაც ვაკეთებ!

ბავშვის დედამ კიდევ უარყო ექიმის დაგნოსი. ექიმის პრინციპიც უარესად „შეილახა“ და განკარგულებას განკარგულება დაეთარა:

— სამსახურში არ წავიდეთ, ცოლი და ქმარი გაემგზავრებით იზოლატორში, ხოლო ბავშვის მდგომარეობას კიდევ დავუცადოთ 11-12 რიცხვამდე!

მალე სასწოაფო დახმარების მანქანა გაჩნდა, მაგრამ დედამ იფიქრა უანგრითელი შეილი როგორ გავუშვა ქუნთრუშიან ბავშვებში. ვერ გაარანა ბავშვისასწოაფო დახმარებას, ამის გამო მშობლებს ხელი მოაწერინეს სათანადო ქალალდება, ექთანა მანიამ კი გააფრთხილა:

— ცოლმა, ქმარმა და ვაჟიშვილმა ყოველ ორ საათში თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა მაცნობოთ!

ამის შემდეგ მანია მიდიოდა სახლში და სინჯავდა „ავადმყოფებს“, ხან ენაზე უცეროდა, ხან თვალებზე, მაგრამ სიცხე არსად ჩანდა და, ცადია, არც ბოლგას ჰერნდა ადგილი.

ბოლოს, არ რა მოხდა:

— დედა სად არის? — მიაკითხა ექთანა ბავშვის ოჯახს.

— საძასხურში წავიდა. — მიუგო ნუნუმ.

— როგორ თუ სამსახურში, ვინ მისცა ამის უფლება, ახლავე უტრენებ სეირს! — და მანიამ „დანაშაული“ სკოლასა და რაიონგანას აცნობა.

ჯანგანყოფილების გამგებ გურაშვილმა სამსახურშიც დაურეა „ავადმყოფი“ ბავშვის მშობლელს. ჯერ კარგა ლაშათიანად შეახურა „ბაცალების გამავრცელებელი ურჩი დედა“ და ქეთევნის სამსახურის დირექციას „სანიმუშოდ“ ჰედგენილი ცნობაც გაუგავნა:

„გამ. „კომიუნისტის“ კომბინაციის დირექტორს

ფრ. სასწოაფო.

თქვენი არავინის გამგე მაჩაიძე ქეთევნა მიხეილის ასულს. ბავშვი ჭყაფს ავად ქუნთრუშით და მისი სავადმყოფოში გადაყვანაზე წინააღმდეგ არის, რის გამოც ეს მდგომარეობა ხელს უწყობს ბავშვთა ინფექციის დაავადებათა გ. ვრცელებას. ამიტომ გიხოვთ, რათა გაანთვალისწილოთ ის სამსახურიდან (უხელფასოდ) და არ დაუშვათ ის სამუშაოებს, სანამ ის არ წარმოადგენს სათანადო ცნობას სამუშაოებს დაშვების მესახებ, თანახმად არსებული დეტულებისა.

რაიგვარგანის გამგე გურაშვილი

4/XII-50 წ.

შეტუხლენ გამომცემლობის მუშაკები, მაგრამ რალას იზამდნენ, ინფექციურ დაგადებათა გარეცელებას ხომ ვერ შეუცყობდნენ ხელს და რაც ის „ის“ იწერებოდა, გაათვისულეს „ის“ (ქეთევნ მაჩაიძე) სამსახურიდან.

„ის“ ცალკე წუსს, შეილი ცალკე. მეტეპსელასელი „ქუნთრუშიანი“ ნუნუ სკოლის წინ დასეირნობს და შორიდან შესცემის საყვარელ კლასს მაგრამ ეს რა ერთამულია, რა მასური ისმის? აქ რაღაც დიდი ამზადება ნუნუს საკლასო ოთახს დეზინფექციის უკეთებენ. მრავალ ათვეულ მოსწავლეს გაუცდა დღი, უკან ბრუნდებიან.

— აგერ მაჩაიძე მაჩაიძე! — წარმოიყირებს ერთი მოწაფე ნუნუს დანახვაზე და შემინებული ბავშვები წივილ-კივილით გაურბიან „ქუნთრუშიან“ მეგობარს...

გაძმომცემლობის წარმომადგენლი თბოვს ჯანგანს, რომ კვლავ გასინჯონ ბავშვი. ჯანგანყოფილებამ შეიტყნარა თხოვნა და მაჩაიძის ოჯახს

თბილისის ეკო-ეკო საავაგყოფი

ნარ. დონისა

ეროვნული
ინდუსტრია



— ხალათი უნდა მოიხუროთ, ამხანავო, გვეშინია ვეადმიყოფთან ინფექცია არ შეიტანოთ!.

— ინფექცია? ამ ხალათზე უარესი რა უნდა შევიტანო, ქალო?

აღნიშნული პოლიკლინიკის ექიმი ი. გოგიტიძე გაუგზავნა. „ავადმყოფი, მისგვარეს ექიმს. მან გულმოდგინდ გასინჯა ნუნუ და თქვა:“

— ამ ბავშვს ქუნთრუშის არავითარი ნიშნები არა აქვს, მიოლოდ ყელი სტკივა. — და გამოუწერა წამალი. ქეთევნმა იფიქრა, ახლა მაინც დამებსნება შურლაია, მაგრამ შეუბლალებოდა, რომ ნუნუსთვის სკოლაში წასვლის ცონბა მიეცა? მაგრამ ილბლად თვით მკურნალი შეიქნა სამუშაოსთან, — ავად გახდა. ქეთევნმა ისარგებლა შემთხვევით და ისევ გოგიტიძე ესტუმრა. ამ უკანასკნელმა განკარგულება გასცა ქეთევნ მაჩაიძის სახელზე ცნობა გაეცა და ჯანგანსაც შეატყობინა: მაჩაიძის ბავშვს ქუნთრუშა არ აქვს; გახარებულმა ქეთევნმა ისიარულით მიუტანა გამომცემლობას:

„ც ნ მ ბ ა“

მაჩაიძე ქეთევნას შეუძლია სამსახურში სიარული, რადგან მის ოჯახში არ აღმოჩნდა არავითარი ინფექციური დაავადება. გამოარყოს კონსულტანტმა.

ექიმი ჯიბრაშვილი
11/XII-50 წ.“

მაგრამ ნუნუ კვლავ მიაკითხა შურლაიას.

— არდა აუგების შემდეგ მოგცემ ცნობასი — უხტრა შურლაიაში ბავშვს და დანაპირიც შეუსრულა. ნუნუ ასეთი ცნობით მოვიდა სკოლაში: „ცნობა. მაჩაიძე ნუნუ ავადმყოფობდა 2/XII-12 I-მდე ბრონქიალური კიონცეულების ინფილტრაციით. ექიმი შურლაია. 11 I-51“. ხედავთ, რა ეშვაკი ყოფილი შურლაია? ბავშვს ერთ თვეს უმიზებოდ გააცდებინა სკოლა და ზედ არდადეგების დღეებიც დაურთო.

„ქუნთრუშის ორმოც დღე ხომ მაინც შევასრულებინე ჩემს ავადმყოფს“, — ფიქრობს პრინციპის პატრონი შურლაია. მაგრამ თუ პატივ-ცემულმა ექიმმა ერთი დღის სიცეის გულისოფლის ნუნუ ორმოც დღეს, — ნუნუს უფროსი ძმა ალექსანდრე კი ათ დღეს სკოლას ჩამოაშორა, ხოლო ქეთევნი შეიდას და უფროვა დასტურა და უდანაშაულოდ დასაჯა, — ვფიქრობთ (საერთოდ, სიცეის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ), მაშინ ელინბარ შურლაიას უფრო მეტი სასჯელი ეკუთხის!

პ. გელათიშვილი



ქ. ჩვენს პატიო სესაროველიშვილი

ხელი დაუბანია



საგარეჯოს რაიონის ბოჭორის

სასოფლო საბჭოში სამი თვეა არ გამოჩენილა მარილი, საპონი, ფქვილი, რვეულები და არ მოუტანიათ ახალი სახელმძღვანელოები. ბოჭორმელები საგარეჯოში ფიქრობენ ჩასელას საპირის და სხვა საქონლის საყიდლად, მაგრამ ერიცებათ: „უსაპნობის გამო ხელი ვერ დავიბანეთ და რაიკონპავშირის თავმჯდომარე რომ შეგხედეს, როგორ ჩამოვართვათ“. რაიკონპავშირის თავმჯდომარეს კი, როგორც ხმები დადის, ხელი უკვე დაუბანია..

ახალი ექსპედიცია



ცათლული რეინიგზის დისტანციის რამდენიმე შენობის ფანჯრებს აქლია მინები. მინები საქმიალ მოებოვებათ, მაგრამ ჩასმა არ ხერხდება... აღმასის უქონლობის გამო. დისტანციის უფროსმა ი. მესერიძემ აღმასის შოვნის მიზნით გადაწყვიტა გაგზავნოს სპეციალური ექსპედიცია მთიან რაიონებში.

კეცაულის გადაწყვეტილად



ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშვილი გეგმაშეწონილად მიმდინარეობს საშუალო ოქრომეტრიანი სკოლის მშენებლობა. პირველ სამ წელიწადში გეგმა შესრულებულია 29 %-ით.

ბალაზიძე

სალგამიჩაოს კოლგეურნეობას
სატრაქტორო სადგურს ჰყავდა
თქვენი ძროხა დაქერილი!
დიდ რკინაზე გამოებათ,
უპატრონოდ დარჩენილი.

ერთ თვის შემდეგ, როგორც იყო,
დაიხსენით საცოდავი!
უცნაურად დასუსტებულს
სახლში გაჰყევა მარტო ტყავი!



ამჟამად კი ის გვაკვირვებს,—
რომ პროექტორის თავს არ აცნ. იპთ,
დამნაშავე სხვებია და
ტყავს კი საწყალ ძროხას აძრობთ...

ბ. ჩ.



კლუბის რაიონის სოფელ მზესახ
კლუბის კარებში გუშინ შემთხვევით
შეიხედა მზემ. მეტიჩარა სტუმარი სას-
წრაფოდ განდევნებს და კარი კვლავ
მაგრად დაკეტეს.

კვებო-გოგის კოლგეურეობა



— ჩვენი თავმჯდომარე რომ ასე არ
გვიფრთხოებოდეს და გარეთ, სი-
ცივეში გაგვიშეას, მინდორში დარჩე-
ნილი იმდენი ჩალა და ბზე ტყუილად
არ დაიკარგებოდა!..

ეგიშის ეგიში

ხოფ. ხაღანძილი, თოჯონი კიბის სამარწი
ინდუსტრიული



— სად მიიჩქარი, სიკო?

— ჩვენს ექიმთან, ლევან ნანეიშვილ-
თან.

— რა გტკივა, კაცო?

— მე არაფერი. ლევანი კი, ორი კვი-
რაა გადამული სვამს და მისიანებმა
გამოსაფხიზლებელი წამალი მთხოვეს.

არაველის ხადვაზე



— თბილისიდან არგვეთამდე ბილეთი
30 მანეთი და 30 კაპიკი ლირს, თქვენ
კი აქედან თბილისიდან 35 მანეთს რა-
ტომ მახდევინებთ?

— ვერ უნდა მიხვდე? თბილისიდან
აქეთ დაღართია, აქედან თბილისი-
შინ კი აღმართი!..


— ამა, მივხვდი ბარონ მიეხვდი!

კატივცვებულონ ნიაგორა



ჩათუბელი არქიტექტორები იმდე-
ნად იმზიან მოსახლეობის ქეთილ-
დღეობისათვის, რომ გარდა ნათელი
და მაღალტერიანი ბანების მშენებლო-
ბისა, ითვალისწინებულ არასოდეს არ
მოკვდეს ბათუმის შენოვრები. მაგალი-
თისათვის დაგისახელებთ მხოლოდ ორ
შემთხვევას: რუსთაველის ქუჩაზე აშე-
ნებულ № 13 ახალი სახლის კარებში
გაჯიუტდა და არატრით არ გამოეტია
კუბოში ჩასვენებული ცხედარი. ასევე
დაემართა მეორე ცხედარს გორკის
ქუჩაზე მდებარე ახალ სახლი და კირისუფლებმა
კუბო თოკებით ჩამოუშვეს მე-4 სარ-
თულიდან.

მოდი და მადლობას ნუ ეტყვი ასეთ
არქიტექტორებს!



ქარაგმული ჭურვები

- მოხერხებული ექიმი პაციენტს მტკივან თვალს უხვევდა, ჰანგანის გამგეს კი—ჰანსალსაო.
- სასწორზე ღადებულ თევზს პირი წყლით სავსე უკვე აღარა ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერაფერი თქვა და თავი იმართდა—რა უნდა ვთქვა, პირი გამშრალი მაქვსო.
- შოთერმა მანქანის პატრონს გული მანქანაზე აღრე გაუტეხაო.
- სტუმარმა სუფრაზე ლვინო ღააქცია და მასპინძელმა—არტერიო...
- გამყიდვებმა ფული და ღირექტორის გული ერთბაშად მოიგოო...

გიორგი ჭალაშვილის



— მოქალაქე!.. წინა ბაქნიდან ჩომ აპირებთ ასვლას, თქვენ ინვალიდი ხართ?

— მე ინვალიდი ჩად ვიქნები, გეთაყვა, ყოველ თვის წინა ბაქნიდან ავდივარ ხოლმე.



ქარაგმები

— ეს უურნალი უკვე წავიკითხე, აშა, გიბრუნებ, შეგილია მიუტანო ხელისმომწერს!

— ხომ გეუბნებოდით, უურნალის გამოწერას ფოსტა-ლიონთან მოლაპარაკება სჯობს, უფრო აღრე მიიღებთ უურნალ-გაზეთებს მეთქი.

სოფელი

— ჩას ფზიხარ, კაცო, წამო სამუშაოდ!

— არა, ძმაო, გასული თვე ხომ მხოლოდ შრომაში გავატარე, ერთო-ორი კვირა ასლა გაზეთების კითხვას უნდა მოვანდომო, ერთბაშად მომიტანა ფოსტალიონმა!

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Ниаги“. Редакция и рисунки: მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტეл. 8-10-49.

ხელმოჭ. დასაბ. 1951 წ. 27/I. სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 113. გამოც. № 2. ტირ. 11.000. უ.00041



შეტევის ღრმას: — გმირები და რჩეულნი ყოველთვის წინ მიდიან, თანხის ეფენდი, ამდა შეგიძლია თურქეთი ასახელო...



უკანასკნეს: — ზაგრამ ჩეენც ხომ უნდა პოვევეს საშუალება, რომ თავი ვიხსელოთ...